სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით

სარჩევი:

შესავალი - 3 გვ.

თავი I
1. დოკუმენტის მიზანი, ამოცანა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავება - განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა- 4 - 5 გვ.

თავი II
2. მოსწავლის უფლება-მოვალეობები- 6 გვ.

თავი III
3. მშობლის/კანონირი წარმომადგენლის უფლება - მოვალეობები - 6-7 გვ.

თავი IV
4. სკოლის ფუნქცია-მოვალეობები - 7 – 8 გვ.

თავი V
5. სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები - 8 გვ.

თავი VI
6. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები -8-9 გვ.

თავი VII
7. სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობები - 9 გვ.

თავი VIII
8. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა - 10 გვ.

შესავალი

წინამდებარე სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობას მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, მისი ღირსების დაცვა, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების განვითარებისა და მისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზება. მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიმართ თანასწორუფლებიანობის დაცვა დისკრიმინაციის გარეშე.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით – მშვიდობის, ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

აღნიშნული მიზნის განხორციელებით ვიცავთ საქართველოს კონსტიტუციას, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ბავშვის უფლებების დაცვის კოდექსს, საერთაშორისო კონვენციებითა და დეკლარაციებით დადგენილ სტანდარტებს, პრინციპებსა და ნორმებს, ასევე ყველა იმ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელსაც აღიარებს სახელმწიფო.

ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელება. თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა – იცოდეს თავისი უფლებები.

საქართველოს პარლამენტმა 2019 წელს მიიღო „ბავშვის უფლებათა“ კოდექსი, რომელიც ადგენს საკანონმდებლო საფუძვლებს, ბავშვის დაცვის საშუალებებსა და გარანტიებს, ბავშვის უფლებების, თავისუფლებების და ფუნდამენტური პრინციპების დასაცავად. აღნიშნული უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს – ბავშვის კეთილდღეობას.

„ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის შესაბამისად, ბავშვები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო ინფორმაციით, რაც მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა, ამასთნ, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის აზრი. აღნიშნულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 1994 წელს და აიღო ვალდებულება, დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას და განსაზღვრავს მისი ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს.

თავი I

<u>წინამდებარე დოკუმენტის მიზანია:</u>

ხაზი გაუსვას სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი, მოსწავლის უფლებების დაცვის ბრუნვის ადმინისტრირებისთვის სათანადო მექანიზმების დადგენის მნიშვნელობის სავალდებულოობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

<u>დოკუმენტის ამოცანას წარმოადგენს:</u>

მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლისა და პრევენციის მიმართულებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხელშეწყობა შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერების მიზნით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირებას.

<u>მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავება – განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა:</u>

მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის სკოლაში შექმნილია (სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე), მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისია, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ფსიქოლოგისა და მოსწავლეების (საჭიროების შემთხვევაში სახალხო დამცველის მოწვეული წარმომადგენლის) შემადგენლობით. კომისიას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი მოადგილე. სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილის მიმართ საჩივრის შემთხვევაში განათლების სფეროში მოქმედი უწყების წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება კომისიის შექმნის მიზანი, კომისიის შექმნის პროცედურა, წესი, პირობები, საკითხის განხილვის ვადა, წევრების რაოდენობა და განისაზღვრება შემადგენლობა საქმის შესწავლის ობიექტურობისა და საქმეზე სამართლიანი შედეგის დადგომის თვალსაზრისით. კერძოდ, კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება განისაზღვრება სკოლის დირექციის, მასწავლებლების და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობით, რათა დაცული იქნეს საქმეზე ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპი.

ასევე ობიექტურობისა და სამართლიანობის მეტი დაცულობისთვის შედგება სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, რომელიც დაერთვება საკითხის შესწავლის შედეგად მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. კომისია უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების

დარღვევის ფაქტ(ებ)ზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრების რეგისტრაციას და მისი განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის არსებობის, მისი შექმნის მიზნისა და ფუნქცია-მოვალეობების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობას. კერძოდ, სკოლა განახორციელებს ინფორმაციის თავის ვებ.გვერდზე გამოქვეყნებას, სკოლის დერეფანში სტენდზე გაკვრას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დოკუმენტით უშუალო ინფორმირებას მისი ხელმოწერის დადასტურებით. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასაჩივრების მექანიზმის, პროცედურისა და თანმიმდევრობის დაცულობას.

კერძოდ, სკოლაში მოსწავლის უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად, ბავშვის უფლების და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართავს უპირველეს ყოვლისა სკოლაში არსებულ ზემოაღნიშნულ მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას. ამასთან, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია, რომ საკითხის კომისიური წესით განხილვისა და მიღებული შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში, გასაჩივრების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს, განათლების სფეროში მოქმედი უწყებისთვის ან/და სახალხო დამცველისთვის მიმართვა.

კომისიამ თავისი საქმიანობის პროცესების ეფექტიანად წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი წესების დაცვით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტით, განსაზღვრული პრინციპებით და მიდგომებით.

სკოლის ადმინისტრაცია თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად ზრუნავს მოსწავლის უფლებების დაცვა/რეალიზაციაზე;

სწორედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებიდან გამომდინარე - „იცოდეს თავისი უფლებები და დაცვის მექანიზმები“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საჯაროობას და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის ფუნქცია-მოვალეობებისთვის ხაზგასმას, რადგანაც სწორედ ზემოაღნიშნული წარმოადგენს სკოლაში მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტზე რეაგირების და დაცვის უპირველეს საშუალებას.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის მიერ დოკუმენტით განსაზღვრული ადმინისტრაციის თანამშრომელ(ებ)ი.

თავი II

<u>მოსწავლის უფლება-მოვალეობები:</u>

მოსწავლის უფლებები დაცულია, საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი სტანდარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტებით, რომლის შესრულება სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

მოსწავლის უფლებაა მოითხოვოს: ღირსეული მოპყრობის უფლება, აზრის გამოთქმის უფლება, დისკრიმინაციის, ბულინგის აკრძალვა, დაცული იქნეს მისი პერსონალური მონაცემები, გაერთიანების, რწმენის თავისუფლება, ხარისხიანი განათლების მიღების, საკუთარი პიროვნების სრულად განვითარების, უსაფრთხო გარემოში სწავლების და ა.შ. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ამ და სხვა უამრავ ჩამონათვალს ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო მარეგულირებელი საკანონმდებლო დანაწესები, აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელსაც აღიარებს სახელმწიფო და ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მისი დაცვის მექანიზმების შემუშავებაში.

სკოლაში მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, გამოიცემა საინფორმაციო ბუკლეტი, სადაც სრულყოფილად აისახება მოსწავლის როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები, რადგანაც მოსწავლე, საკუთარი უფლებების დაცვის ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას თავისი მოვალეობების თაობაზე, რათა დაცული იქნას, როგორც საკუთარი, ისე სხვათა უფლებები. ამასთან, აისახოს ინფორმაცია სკოლაში არსებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის თაობაზე, ფუნქცია- მოვალეობების გათვალისწინებით.

თავი III

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები

მოსწავლეთა უფლებების დაცვის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მისი უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რათა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვა/რეალიზება.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობაა სკოლის ადმინისტრაციას მოსთხოვოს და ყურადღებით გაეცნოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტს და მის საფუძველზე შექმნილ მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც შექმნილია სწორედ სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა/რეალიზაციის მიზნით. ამასთან, დაიცვას დოკუმენტით გათვალისწინებული წესი, პირობები, გასაჩივრების პროცედურები და გასაჩივრების ეტაპები. იგი ასევე უფლებამოსილია სკოლის ადმინისტაციას მოსთხოვოს მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებისა და ვალდებულებების საჯარო გამოქვეყნება.

თავი IV

<u>სკოლის ფუნქცია-მოვალეობები:</u>

<u>სკოლა ცნობს და იცავს</u> ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებას, გაეროს ბავშვთა კონვენციის ოთხი პრინციპის მიხედვით:

- ❖ სიცოცხლე – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება;
- ❖ განვითარება – ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება;
- ❖ დაცვა – ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის შეზღუდვებისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისგან;
- ❖ მონაწილეობა – ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი და მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

<u>სკოლის მიერ</u> მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები მოსწავლის უფლებათა დაცვის მიზნით, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლა იღებს ვალდებულებას მოახდინოს მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა საჯარო გამოქვეყნებით და მისი ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, აღნიშნულის განხორციელებისას სკოლა მიმართავს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის ღონისძიებები არის პოზიტიური ხასიათის მატარებელი და არ ისახავს მიზნად მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძებას, დასჯის შიშის შექმნას და სხვა, ასევე გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები.

სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

თავი V

<u>სკოლის დირექტორი</u> კანონმდებლობით დადგენილი ფუნქცია – მოვალეობების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას იცავს საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორი იცავს და ზედამხედველობას უწევს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავება – შესრულებას. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას, სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნებისთვის არსებული სამეთვალყურეო საბჭოს საშუალებით და სამომავლოდ მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნებისთვის მიმართავს პრევენციულ ღონისძიებებს.

თავი VI

<u>მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები:</u>

<u>მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას</u> საქართველოს კონსტიტუციის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესი და პირობები.

<u>მასწავლებელი იცავს</u> ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. მასწავლებლის პირდაპირი ვალდებულებაა ითანამშრომლოს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, იყოს თავაზიანი და საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები მასწავლებლის ვალდებულებების ვრცელ ჩამონათვალს იცნობს. მაგალითად, მისი ვალდებულებაა მოსწავლეს არ მიაყენოს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არ მოახდინოს მასზე ემოციური (ფსიქოლოგიური) ზეწოლა. კონფლიქტურ სიტუაციებში შეინარჩუნოს სიმშვიდე, მოისმინოს მოსწავლეთა აზრი და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებები. თანაბრად ყურადღებიანი იყოს მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და იზრუნოს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მიუხედავად და ა.შ. შესაბამისად, მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს მოსწავლის უფლებების დაცვის უპირობო ხარისხი, რომელზეც ზრუნვა მისი ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილია.

მასწავლებლის პირდაპირი ვალდებულებაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავებაში და უფლების დარღვევის შემთხვევაში გამოიჩინოს ობიექტური და სამართლიანი მიდგომა.

ასევე გამოიჩინოს ინიციატივა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სკოლის დირექტორს შესთავაზოს პრევენციის მექანიზმები.

თავი VII

<u>სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობები ზოგადი განათლების სფეროში:</u>
საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთხმების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, ტარდება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რის საფუძველზეც სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვა/რეალიზებას.
სკოლაში და სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგს იცავს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.
სწორედ მოსწავლეთა უფლებების დაცვა/რეალიზების ხელშეწყობას და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას ემსახურება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“.

თავი VIII

<u>საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით</u>
აღსანიშნავია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ამ თვალსაზრისით შესწავლილი ქვეყნების - ესტონეთის, დანიის, ირლანდიის, საბერძნეთის, ფინეთისა და აშშ - ს(ტუსლა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტზე მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გადის საჩივრების შემდეგ პროცედურებს და ეტაპებს: სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის უფლების დარღვევის ფაქტზე საჩივრის ფორმა, რომლის შევსების შემდეგ პირველ რიგში იგი მიმართავს კლასის ხელმძღვანელს, მასთან შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში მიმართავს სკოლის დირექტორს, შემდეგ სკოლაში არსებულ საბჭოს (სხვადასხვა ქვეყნებში საბჭო მოიხსენიება განსხვავებული სახელწოდებებით). აღნიშნული პროცედურების გავლის მიუხედავად, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ვერ მოახდინა ბავშვის უფლებების და კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვა - მიმართავს ბავშვთა ომბუდსმენს.
განათლების დეპარტამენტს არ აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება გამოიძიოს ინდივიდუალური საჩივრები მასწავლებლის მიმართ ან დაავალოს სკოლებს დაიცვან კონკრეტული მიმართულება ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით. აღნიშნულს უზრუნველყოფს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე, დადგენილი დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
3. ბავშვის უფლებათა კოდექსი
4. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N57/ნ ბრძანება
5. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება
6. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება
7. „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N79/ნ ბრძანება
8. „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N80/ნ ბრძანება
9. „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის N109/ნ ბრძანება
10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N550 დადგენილება („გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“)
11. „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი
12. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე)
13. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილება
14. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა)
15. ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია USAID (ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი)
16. შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად INSPIRE
17. ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის (კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის)
18. ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ
19. ბავშვთა უფლებების კვლევა (სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის)
20. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება UNICEF (კანონმდებლობის კვლევა)

21. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები (არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება)
22. ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში – ევროკავშირი საქართველოსთვის (დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის)
23. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე
24. Education, the law and you – United Kingdom - https://neu.org.uk/media/596/view
25. https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/508012015002/consolide/current
26. International School of Estonia Student and Parent Handbook - https://ise.edu.ee/wp-content/uploads/Student-Parent-Handbook-20_21.pdf
27. https://ircelt.ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2019/10/IRCEELT-2019_Proceedings-Book_06.08.2019.pdf
28.https://www.citizensinformation.ie/en/https://www.citizensinformation.ie/en/education/primary-and-post-primary-education/teachers-and-schools/teachers-duty-of-care/
29. https://bae.athensisd.net/parents_students/student_discipline_management_plan?fbclid=IwAR0344et5 EsVhFUH5iQ-LlWG40_x2tRD7NfF-fOfu1Z1LZeQ8JqRq5xicKY
30. https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/denmark/fundamental-principles-and- national-policies?fbclid=IwAR321m1FvAQqBda3Y5BnATG1YuvJBGD1riSirpHqmmIvptBzUG8cTAS40TM
31. https://www.calameo.com/books/005033132ff8f71241f88
32. https://www.citizensinformation.ie/en/education/primary-and-post-primary-education/attendance- and-discipline-in-schools/child-protection-in-school/#0171d2